# უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია რუსული პოლიტიკური თეოლოგიის კონტექსტში

თეიმურაზ ბუაძე

მართალია, ამ კონფერენციის სათაურში სიტყვები „უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია“ არ ფიგურირებს, ყველასთვის ცხადია, რომ მისი ჩატარების უმთავრესი მოტივი და სავარაუდოდ აქ წაკითხული მოხსენებების დიდი ნაწილის განმსაზღვრელი ორიენტირი სწორედ რომ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიაა.

მე არ ვაპირებ ამ ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურ და ისტორიულ საფუძვლებზე საუბარს, ამას აქ მყოფი კანონიკური სამართლის სპეციალისტები და ეკლესიის ისტორიკოსები უკეთესად მოახერხებენ. ამასთან, მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხის ვითომდა სირთულის, მისგან გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობისა და დაძაბული ურთიერთობების უკან კანონიკური და ისტორიული საფუძვლების ნაკლები დამაჯერებლობითა და გაურკვეველი ორაზროვნებით კი არაა გამოწვეული, არამედ პოლიტიკური ფაქტორებით. ალბათ არავისთვისაა საკამათო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიისადმი ავტოკეფალიის მინიჭების აქტი ასეთ სიმწვავეს ვერ და არ შეიძენდა, მოწინააღმდეგე მხარეს რუსეთის ნაცვლად სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია რომ ყოფილიყო. ამ ფაქტის საკამათოდ ქცეული ვითომდა კანონიკური და ისტორიული საკითხები სინამდვილეში პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ასევე, ცხადია, რომ ამ საკითხის პოლიტიკურ ხასიათს, უპირველეს ყოვლისა, პუტინის ანტიდასავლური ფსევდომართლმადიდებლური პოზიცია, უფრო სწორად, რიტორიკა, თანამედროვე რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები და ამ მიზნების გასახორციელებლად რუსეთის ეკლესიის ინსტრუმენტალიზაციის ტრადიციული პრაქტიკა განსაზღვრავს.

მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო დიდ ექსპანსიონისტურ იმპერიად გადაიქცა, მას მართლმადიდებლური ოიკუმენის პოლიტიკური მფარველისა და მართლმადიდებლური

იდენტობის განმტკიცების პრეტენზია გაუჩნდა. ე.წ. „მესამე რომის“ იდეის, ანუ მართლმადიდებელი ერის პოლიტიკური მოწყობის რუსულ-პრავოსლავნური კონცეფციის მომხრეები ბუნებრივად ეძებდნენ მოკავშირეებს და სამწუხაროდ, პოულობდნენ კიდეც იდეოლოგიურ მხარდამჭერებს რუსეთის ეკლესიის სასულიერო პირების, რელიგიური პუბლიცისტიკის, პოლიტიკოსებისა და ა.შ გარკვეულ წრეებში. ამან თანამედროვე რუსულ რელიგიურ ცნობიერებაში, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სულიერებისა და მსოფლმხედველობის გვერდით, პოლიტიზებული ფსევდომართლმადიდებლური მესიანური კონცეფციები და მოლოდინები გააჩინა. ეს გარემოება არაერთ ავტორს უბიძგებს ილაპარაკოს ე.წ. „რუსულ პოლიტიკურ თეოლოგიაზე“. ჩვენი მოხსენებისას, ობიექტურობის მიზნით, თავად რუსი რელიგიური მოაზროვნეებისა და პუბლიცისტების იმ ციტატებს მოვიყვანთ, რომლებიც რუსული პოლიტიკური თეოლოგიის ძირითად ორიენტირებს წარმოაჩენენ.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებიის პოზიციას არსებითად მათი პოლიტიკური სიმპატიები და ორიენტაცია განსაზღვრავს, მათი დიდი ნაწილი სწორედ ამ ავტოკეფალიის მომხრეებს ადანაშაულებენ პოლიტიკურ მოტივებში და ამ საკითხის განხილვას ვითომდა მხოლოდ „კანონიკურ და ისტორიულ ჭრილში“ ითხოვენ. მათ ამით იმის თქმა სურთ, რომ ნაციონალური პოლიტიკური მოტივების გარეშე, ამ ავტოკეფალიის საკითხი საერთოდ არ დაისმებოდა და რომ ეკლესიის გადაწყვეტილებებზე ეთნო-ნაციონალურმა ფაქტორებმა ზეგავლენა რომ არ მოახდინოს, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება მხოლოდ საყოველთაო კონსესუსის საფუძველზე უნდა მოხდეს და არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საყდარის მიერ.

ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებს ამ ოთხი არგუმენტით შეიძლება ვუპასუხოთ:

1. სწორედ კანონიკური და ისტორიული არგუმენტები ლაპარაკობს უკრაინის ავტოკეფალიის სასარგებლოდ. ამაზე ბევრი მომხსენებელი ისაუბრებს;

2. ძველი პენტარქიის შემდგომ ყველა ადგილობრივი ავტოკეფალიის წარმოშობას ბიძგი უკრაინის ანალოგიურმა ისტორიულმა და პოლიტიკურმა გარემოებებმა მისცა. ადგილობრივი მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების დიდმა ნაწილმა ავტოკეფალია XIX და XX საუკუნეებში მიიღო, მას შემდეგ, რაც მათმა ნაციონალურმა სახელმწიფოებმა თავი პოლიტიკურად გაითავისუფლეს თურქეთის და ცარისტული რუსეთის იმპერიებისგან. ამასთან, ნაციონალური პოლიტიკური ფაქტორი რომ არ არსებულიყო, საერთოდ არ იარსებებდა ახალი ავტოკეფალიების წარმოშობის აუცილებლობა;

3. კონსტანტინოპოლის საყდარი იმიტომ ანიჭებდა იმპერიებისგან გათავისუფლებული ნაციონალური სახელმწიფოების ადგილობრივ ეკლესიებს ავტოკეფალიას, რომ ამით ეკლესიის ერთიანობა შეენარჩუნებინა და სწორედ იმისთვის შეეშალა ხელი, რომ პოლიტიკურ ფაქტორებს დასაშვებზე მეტი ზეგავლენა მოეხდინა ამ ადგილობრივი ეკლესიების ცხოვრებაზე. როდესაც გათავისუფლებული ნაციონალური სახელმწიფოების საეკლესიო იერარქიას აღარ სურდა იმპერიული იერარქიის მორჩილებაში დარჩენილიყო, ერთადერთი გამოსავალი მათთვის ავტოკეფალის მინიჭება იყო. განა ასე არ მოხდა საქართველოს ეკლესიის შემთხვევაშიც?

4. ისტორიულად ავტოკეფალიის მინიჭების პრეროგატივა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საყდარს ჰქონდა. ეს ასეც უნდა დარჩეს, რადგან ასეთ საკითში საყოველთაო კონსესუსი არასოდეს მიიღწევა. დიდი ქვეყნის ეკლესია და მასზე დამოკიდებული ეკლესიები არასოდეს დათანხმდებიან მათი ქვეყნიდან პოლიტიკურად გამოყოფილი ახალი ქვეყნისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას. ვინ დაიჯერებს, რომ რუსეთის ეკლესია ან მასზე დამოკიდებული სხვა ადგილობრივი ეკლესიები ოდესმე ნებაყოფლობით დათანხმდებიან უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას?!

უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებით მსოფლიო საპატრიარქოს სურდა რუსეთის პოლიტიკური ფაქტორის გამო დანაწევრებული უკრაინის ეკლესია გაეერთიანებინა. ეს გაერთი-

ანების პროცესი უკვე დაიწყო და იმედია ის წარმატებით დასრულდება. ამ პროცესს ხელს ისევ კრემლის პოლიტიკური ინტერესები უშლის. კრემლის პოლიტიკური ინტერესები თეოლოგიურ გამოხატულებას ე.წ. რუსულ პოლიტიკურ თეოლოგიაში პოულობს.

ამ პოლიტიკური თეოლოგიის არსის საჩვენებლად ვისაუბრებთ ე.წ. „მესამე რომის იმპერიის“ დუგინისეულ თანავედროვე ინტერპრეტაციაზე და სხვა რუსი რელიგიური მოაზროვნეებისა და პუბლიცისტების ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ციტატებს მოვიყვანთ.

დუგინი ფიქრობს, რომ ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგია უნდა იყოს და არის კიდეც იუდეური თეოკრატიით გაჯერებული არისტოტელეს პოლიტიკური ფილოსოფია. ეს ასე იმიტომაა, რომ ქრისტიანობა ორი ცივილიზაციის მემკვიდრეა: რელიგიური თვალსაზრისით, – იუდეურის, სოციალურ-პოლიტიკურით კი – რომის იმპერიის. დუგინი ამაში იმას გულისხმობს, რომ ქრისტიანობაში იუდაიზმის მესიანური მოლოდინის აღსრულება მოხდა; პირველი მეორის გაგრძელებაა და ამიტომაც ქრისტიანმა მონარქმა იუდეველი მეფის ცხებულობა, ანუ საკრამენტალური პოზიცია შეინარჩუნა. ამავე დროს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია რომის იმპერიაში გახდა, ანუ მან მემკვიდრეობით მიიღო ამ უკანასკნელის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და იურიდიული ინსტიტუციები. დუგინი აცხადებს, რომ რომის იმპერია არისტოტელეს საუკეთესო პოლიტიკური მოდელის ისტორიული განხორციელება იყო, რადგან ის თავის თავში აერთიანებდა მონარქიის, არისტოკრატიისა და პოლიტეიის ელემენტებს. ეს აზრი რომ უფრო მეტად გასაგები გახდეს, მცირედ მაინც უნდა შევეხოთ არისტოტელეს პოლიტიკურ თეოლოგიას. არისტოტელე ასწავლის, რომ ხალხი შეიძლება სამი სახით იმართებოდეს: ერთი პიროვნების, ადამიანთა ჯგუფის ან მთელი საზოგადოების მიერ. თუ ეს მმართველობები ხალხის ინტერესების შესაბამისად ხორციელდება, მაშინ პირველს იგი მონარქიას უწოდებს, მეორეს – არისტოკრატიას, მესამეს კი – პოლიტეას. ეს მმართველობის კარგი ფორმებია,

რადგან ისინი ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედებს, მაგრამ ისინი შეიძლება ცუდ მმართველობებში გადაგვარდნენ, როცა ხელისუფლება თავისი ინტერესების შესაბამისად იწყებს მოქმედებას და არა ხალხის. ამ თვალსაზრისით, მონარქია შეიძლება გადაგვარდეს ტირანიაში, არისტოკრატია – ოლიგარქიაში და პოლიტეა – დემოკრატიაში. აქ ოლიგარქია მდიდრების მმართველობას ნიშნავს, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას კიდევ უფრო გასამდიდრებლად იყენებენ და არა ხალხის საკეთილდღეოდ. არისტოტელე „პოლიტეაში“ საპარლამენტო, კონსტიტუციურ დემოკრატიას გულისხმობს, ანუ მისი „პოლიტეა“ ფაქტიურად „დემოკრატიაა“, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. არისტოტელე „დემოკრატიას“ პოლიტიკურად მოუწესრიგებელი ბრბოს მმართველობას უწოდებს, სადაც ყველაფერს კონსტიტუცია და კანონი კი არ წყვეტს, არამედ უმრავლესობის ნება, ასეთი სიტუაციები, უმეტესწილად უშუალოდ რევოლუციების შემდგომ მყარდება რაღაც პერიოდის განმავლობაში. არისტოტელე ფიქრობს, რომ როცა სახელმწიფო ძალიან დიდია, მაშინ მისი მართვისთვის მონარქიაა უფრო შესაფერისი, საშუალო ზომის ქვეყნისთვის – არისტოკრატია, პატარისთვის კი – პოლიტეა, მაგრამ იმისთვის, რომ მმართველობა სტაბილური და მაქსიმლურად დაცული იყოს გადაგვარებისაგან, საჭიროა ის სამივეს – მონარქიის, არისტოკრატიის და პოლიტეის – ელემენტებს შეიცავდეს. აი, ასეთი „შერეული მმართველობაა“ საუკეთესო არისტოტელეს თვალსაზრისით. დუგინი, შუა საუკუნეების რამდენიმე მოაზროვნესთან ერთად, ამტკიცებს, რომ რომის იმპერია ზუსტად ასეთი სტრუქტურით ხასიათდებოდა. მთელი იმპერიის საქმეებს განაგებდა იმპერატორი, რომს და სხვა დიდ ქალაქებს სენატი, ანუ არისტოკრატია, სოფლებს კი – მისი მოსახლეობა. იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ, რომის იმპერატორს აღსაყდრებისას კონსტანტინოპოლის პატრიარქი სცხებდა მირონს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერატორი არა მარტო იმპერიის უმაღლესი ადმინისტრაციული პირი იყო, არამედ საკრალური ფიგურა, ღვთაებრივი ძალისა და განგებულების განსაკუთრებული ინსტრუმენტი. ამიტომაც იყო, რომ ბიზანტიის იმპერატორები არა მარტო

საერო ძალაუფლების უმაღლეს ინსტანციად, არამედ ეკლესიის „გარეშე საქმეთა ეპისკოპოსებადაც“ აღიქვამდნენ თავს.

დუგინი, ზოგიერთი ღვთისმეტყველის მსგავსად, რომის იმპერიასა და მის იმპერატორებს განსაკუთრებულ ესქატოლოგიურ დატვირთვას ანიჭებს. საქმე იმაშია, რომ დანიელ წინასწარმეტყველი თავის წიგნში ოთხ იმპერიას ასახელებს. ესენია: ბაბილონი, სპარსეთი, საბერძნეთი და რომი. დანიელ წინასწარმეტყველი აცხადებს, რომ მესია რომის იმპერიის დროს უნდა მოვიდეს, იპოლიტე რომაელისა და სხვა ქრისტიან მამათა ნაწერებში ვკითხულობთ, ასევე, რომ ანტიქრისტე დედამიწაზე მხოლოდ რომის იმპერიის აღსასრულის შემდეგ გამოჩნდება. დუგინს, ასევე, პავლე მოციქულის თესალონიკელთა მეორე ეპისტოლის ერთი ენიგმატური მუხლის თავისებური განმარტება მოჰყავს. ამ მუხლში მოციქული საუბრობს „შემაკავებელზე“ და ამბობს, რომ ანტიქრისტე მანამდე ვერ გაბატონდება დედამიწაზე, სანამ ეს შემაკავებელი არსებობს. წმინდა წერილის ძველი ქართველი მთარგმნელები სიტყვა „შემაკავებლით“ ბერძნულ „კატეხონს“ თარგმიდნენ. კატეხონის კალკირებული თარგმანი ძალაუფლების მქონე ხელი, ანუ „ხელისუფალია“. აი ამ „კატეხონს“ ანუ „державная рука“-ს აიგივებს დუგინი რომის იმპერატორთან და ასკვნის, რომ მხოლოდ რომის იმპერიისა და რომის ცხებული იმპერატორის არსებობის პირობებში არ შეუძლია ანტიქრისტეს დედამიწაზე გაბატონდეს. ცხადია, ეს მოძღვრება თავად ალექსანდრე დუგინის გამოგონებული არაა, იგი ადრეც არსებობდა. ბიზანტია ბუნებრივად იყო რომის იმპერიის გაგრძელება, პირველის დაცემის შემდეგ, რუსეთში „მესამე რომის იმპერიის“ მოძღვრება შექმნეს და ამით სურდათ განეცხადებინათ, რომ ანტიქრისტეს შემაკავებელი საკრალური მისია ახლა რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის ხელშია. ამის გამო დუგინი პირდაპირ აცხადებს, რომ ის, ვინც მართლმადიდებლური მონარქიის მომხრე არაა და სხვა პოლიტიკური წყობილების, კერძოდ, ლიბერალიზმისა და დასავლური დემოკრატიის აუცილებლობას ქადაგებს ანტიქრისტეს ბეჭდითაა დაღდასმული.

როგორც ვნახეთ, დუგინი (ამას იგი არაერთხელ უსვამს ხაზს) მართლმადიდებლური მონარქიის აუცილებლობის მოძღვრებას პავლე მოციქულს მიაწერს. ეს პოზიცია, რა თქმა უნდა, ვერავითარ კრიტიკას უძლებს. შეუძლებელია ასეთი არასწორი, უგუნური მოძღვრების პავლე მოციქულისთვის მიწერა. ანტიქრისტესა და ბოროტების „შეკავება“ იმპერიებს და იმპერატორებს რომ შეძლებოდათ, მაშინ ქრისტე გალილეელ მქადაგებლად კი არ მოევლინებოდა სამყაროს, არამედ რომის იმპერატორად, დაამკვიდრებდა ბრძნულ კანონებსა და ძალაუფლებას და თვითონ კი არ იქნებოდა ჯვარცმული, არამედ თავად აცვამდა ჯვარს მისი კანონების მოწინააღმდეგეებს. პავლე მოციქულის მიერ ნახსენები „შემაკავებელი“ სულიერი რეალობაა და არა რომელიმე ხალხის (ამ შემთხვევაში, რუსების) უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფალი. ეკლესიის მადლმოსილება და მისი სულიერი ძალა დამოუკიდებული არაა პოლიტიკურ ფორმაციებზე; სწორედ ამიტომაა ქრისტიანობა ზეპოლიტიკური რელიგია, იგი, თავისი ბუნებით, თავსებადია ყველა პოლიტიკურ ფორმაციასთან და მისი სახელით არც რომელიმე პოლიტიკური წყობის უარყოფა შეიძლება და არც მისი არსებობის აუცილებლობის დასაბუთება.

რაკი კონფერენციის ფორმატში ყოველი გამომსვლელის დრო შეზღუდულია, რუსული თეოლოგიური აზრის საილუსტრაციოდ, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, სხვადასხვა ავტორის ციტატების მოხმობით შემოვიფარგლებით. ამ ციტატების უდიდესი ნაწილი ამოღებულია ჩემს მიერ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული სტატიიდან: „რუსული პოლიტიკური თეოლოგია“. ცხადია, რომ ამ ციტატებში გამოხატული აზრი უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მიღებამდე გაცილებით ადრე წარმოითქვა ან დაიწერა, მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის, ეს ციტატები ასახავენ მართლმადიდებელი რიტორიკით შეფერადებულ პოლიტიკურ სულისკვეთებას, რომელიც ხელს უშლის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და საზოგადოების ბევრ გავლენიან წარმომადგენელს, მშვიდად შეხვდეს უკრაინელი ხალხის ბუნებრივ სურვილს, მასთან მეომარი რუსეთის იმპერიის საპატრიარქოსგან დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია ჰყავდეს.

ცხადია, რომ ალექსანდრე დუგინი ერთადერთი გავლენიანი მოაზროვნე არაა რუსეთში, რომელიც იქ მართლმადიდებლური მონარქიის აღდგენაზე ოცნებობს და ამას ფსევდოესქატოლოგიური არგუმენტებით ასაბუთებს.

ახლა დაპირებისამებრ, მოვიყვანთ საილუსტრაციო მაგალითებს, სხვადასხვა რუსი ავტორისგან.

მღვდელი ალექსანდრე შარგუნოვი წერს:

*ეკლესია არცერთი პოლიტიკის კანონიზაციას არ ახდენს, მაგრამ სამეფო ხელისუფლება ღმერთის ცხებულის განსაკუთრებული ქრისტიანული მსახურებაა, მოწოდებული ეკლესიის და მართლმადიდებლური სახელმწიფოებრიობის დასაცავად. ამიტომ... ის შემაკავებელი ძალაა, რომელიც ანტიქრისტეს მოსვლას აფერხებს.*[1]

ვიაჩესლავ კლიკოვის მიხედვით,

*...მხოლოდ სამეფო ხელისუფლება არის ღვთისაგან, ყველა დანარჩენი კი სატანისგან და ამბოხებული ბრბოსაგან მოდის. აი, ესაა დემოკრატია.*[2]

კურსკისა და რილსკის მიტროპოლიტის იუვენალი (ტარასოვი) ჯერ კიდევ 1995 წელს რუსეთის საერობო, წარმომადგენლობითი კრების საშუალებით აპირებდა ღირსეული კანდიდატის შერჩევას საიმპერატორო ტახტისთვის:

*ვიმედოვნებ, რომ მეორე საერთო რუსული მონარქიული შეკრება ხელს შეუწყობს სრულიად რუსეთის საეროობო, წარმომადგენლობითი კრების (Всероссийский Земский Собор)*

---

[1] Шаргунов А., Самодержавие духа, СПБ., 1994, 345.

[2] Клыков В., Главная идея россии, Русь Державная, 1998, №1.

*მომზადებას, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიუთითოს ყველაზე ღირსეულზე...*[3]

ალექსანდფრე ვერხოვსკი კი ამტკიცებს:

*ჩვენ... ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენს არეულ დროში, ხალხის დაბალი სულიერი დონის გამო შეუძლებელია დამყარდეს სახემწიფო ძალაუფლების ყველაზე ზნეობრივი ფორმა – ავტოკრატია. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია გარდამავალი ეტაპი, გონივრული რუსული ნაციონალური დიქტატურის სახით, რომელიც მიზნად დაისახავს ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგის დამყარებას – ბოლშევიკებისა და დემოკრატების მიერ რუსეთის გაღატაკების შემდეგ. შემდგომი ეტაპი შეიძლება ავტოკრატიის დამყარება გახდეს; ეს იმ შემთხვევაში, თუ ღვთის ცხებულის და არა დიქტატორის ღირსი შევიქმნებით.*[4]

ზოგიერთი რუსი მართლმადიდებელ-ნაციონალისტი აშკარად გამოხატული, წარმართულ თაყვანისცემამდე მისული ეთნოფილეტიზმითა და ანტისემიტიზმით გამოირჩევა, რომელიც მათთან ხშირად რასისტული ტერმინოლოგიით პოულობს გამოხატულებას და აპოსტასიურ სამყაროში რუსი ხალხის სოტერიოლოგიურ ფუნქციას უკავშირდება. ა. ბიჩკოვი „რწმენის სიწმინდე და სისხლის სიწმინდეში“ წერს:

*ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, რაც უფრო მეტად „წმინდაა“ სისხლი, მით უფრო მეტად ვლინდება ამ სისხლის მატარებელში ორთოდოქსიისადმი მისწრაფება და შესაბამისად, რაც უფრო*

---

[3] Обращение высокопреосвященнейшего Ювеналия, архиепископа Курского и Рыльского (ко второму всероссийскому монархическому совещанию, Белгород), Русский вестник, 1995, №40-41.

[4] Верховский А., Политическое православие, Москва, 2003, 108.

*მეტია მეტიზაციის ხარისხი, მით უფრო მეტია მიდრეკილება მრავალნაირი ერეტიკული ცდომილებებისადმი.*[5]

ვიქტორ ტროსტნიკოვი:

*ჩვენი დროის ყველა კულტურო-ისტორიული ტიპებიდან ჩვენ ყველაზე ვრცელი და სრული ვართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ოცდამეერთე საუკუნე რუსების საუკუნე იქნება.*[6]

ალექსანდრე კრუტოვი:

*ზუსტად მართლმადიდებელ რუსეთს აქვს ძალა, დაიცვას ღვთიური სამყაროს მრავალსახეობის იდეა, მიუხედავად მცდელობისა, დაამყარონ ახალი – ერთიანი და ერთგვაროვანი, ულმერთო, ანუ – სატანური მსოფლიო წესრიგი.*[7]

ახლა რამდენიმე ანტისემიტური ხასიათის მატარებელ ციტატას მოვიყვანთ:

„რუსკი ვესტნიკი“:

*დაუშვებლად მიგვაჩნია ებრაული დიასპორის პროსიონისტური ნაწილის რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევა.*[8]

„რუსკი ვესტნიკში“ ვკითხულობთ:

*იუდეურ-მასონური ძალაუფლების ყველა ამ განშტოებას ჩვენი ხალხისათვის უბედურება და ნგრევა მოაქვს. ყველა ისინი რუ-*

---

[5] Бычков Р., Чистота веры и чистота крови, Царский опричник, 1999, №32.

[6] Тростников В.Н., Обостренное чувство правды, Русский дом, 2000, №1.

[7] Крутов А., Православный век, Руский дом, 2000, № 1.

[8] Заявление православно-патриотической общественности, Русский Вестник, 1998, №16-17.

*სეთის დანგრევაზე, მისი ხალხის გენოციდზე არიან ორიენტირებული.*[9]

„რუსკი პარტიზანის“ მიხედვით კი:

*სანამ „ებრაული საკითხი“ არ გადაიჭრება (ამასთან, ისე, რომ „განდობილებს თმები ყალყზე დაუდგეთ“, მთელი ეს ლაპარაკი „რუსეთის აღორძინებაზე“ ლაყბობის მეტს არაფერს მოიტანს !*

*...ეს ღირსშესანიშნავი დღე – 1999 წლის 13 ივლისი – დღე, როდესაც კეთილშობილმა რუსმა ყმაწვილმა ნიკიტა კრივჩუნმა დანის რამდენიმე ბრწყინვალე დარტყმით (несколькими блестящими ударами) დაჭრა არა მარტო ვიგინდარა ებრაელი აქტივისტის უბადრუკი სხეული, არამედ გაარღვია რუსულ აღორძინებასთან დაკავშირებული, მრავალსწლიანი ვერაგული სიტყვიერი აბლაბუდა.*

*...მან თავისი გმირობით დაამტკიცა, რომ სიტყვა საქმით უნდა შეიცვალოს...*[10]

მართლმადიდებელი ნაციონალისტები არ ენდობიან ებრაული წარმოშობის მართმადიდებელ მღვდელმსახურებსაც. მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც „სისხლს“ აქვს:

ტატიანა მირონოვა:

*გამონათლული-მღვდელმსახურების რიცხვის ზრდა რუსულ ეკლესიაში გარდაუვალად მოგვიტანს ახალ განხეთქილებებს, შფოთსა და სქიზმებს.*[11]

„პამიატის“ პუბლიკაციაში, ასევე, ვკითხულობთ:

*შეღწევა, იქ დაკავებული აქვთ არცთუ უმნიშვნელო ადგილები და ღმერთის მაგივრად მამონას ემსახურებიან.*[12]

---

[9] Россия под властью масонов, Русский вестник, 1999, №44-47, Специальный выпуск.

[10] Зарница возрождения, Русский партизан, 2000, №3.

[11] Миронова Т., Православный русский перед лицом господстующего зла, Русский вестник, 1996, № 2.

ლეონიდ სიმონოვიჩი:

*ბოლო დროს თანამედროვე ებრაელი, ნახევრადებრაელი და ებრაელებთან ახლო მდგომი ინტელიგენციით გაივსო რუსული ეკლესია. მათ თან ებრაული სული, ებრაელი ხალხის სული მოიტანეს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება და პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსულ სულს.*[13]

ნ. ალფეროვი:

*ამჟამად ეკლესიაში ბევრი ეთნიკური ებრაელი და შერეული ქორწინებებიდან დაბადებული ბავშვია. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მათი აბსოლუტური უმრავლესობა სულაც არ ჩქარობს ქრისტოფაგიას გამოეყოს და ხშირად გვევლინება კოსმოპოლიტიზმის, ეკუმენიზმის და მოდერნიზმის მომხრედ.*[14]

ცხადია, სრული ნაციონალისტები მხოლოდ ებრაელებს არ ემტერებიან:

დ. დ. ვასილიევი:

*მე – რუს მართლმადიდებელს, არ შემიძლია, შევურიგდე დიადი რუსეთის დედაქალაქის – დიდი მოსკოვის მცხოვრებლების შევიწროებასა და დამცირებას ტარაკნებივით შემოსეულ სხვა ნაციონალობის ნაკლებად რჩეული წარმომადგენლებისაგან.*[15]

---

[12] Экстремисты, Память, 2000, №1.
[13] Симонович Л., Утвердится ли в России «русская ересь», <www.pysskie.com/simonovich/heresy.htm>
[14] Алферов Н., Христофагия, Черная сотня, 1997, №47.
[15] Интервью Д.Д. Васильева по поводу предстоящих выборов московского градоначальника, Память, 1999, № 3.

მთავარი მიზეზი, რის გამოც რუსი ნაციონალისტები უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ეწინააღმდეგებიან, მართლ-მადიდებელი ხალხების რუსეთის იმპერიის წიაღში დაბრუნებაა. ცხადია, აქ მხოლოდ უკრაინა კი არ იგულისხმება არამედ საქარ-თველოც:

ანატოლი სტეპანივი:

*რუსეთი განწირულია იმისათვის, რომ იმპერია იყოს, ეს მთელი ჩვენი ისტორიის, მთელი რუსული ცხოვრების იმპერატივია. ჩვენ, რუსებს, ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს, როგორი იმპერია უნდა ავაშენოთ... იმპერიის ფორმალური აღდგენა 91 წლის საზღვრებში, რუსების მუსლიმურ მოსახლეობაში ჩაკარგვის სერიოზულ საფრთხეს მოიტანდა. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას თუ დავაკვირდებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმპერიაში მალე ჩვენ იმდენივე ვიქნებით, რამდენიც არარუსი. ასეთი მდგომარეობის დაშვება შეუძლებელია, იგი უეჭველად გახდება სახელმწიფოს არასტაბილურობის ფაქტორი. იმპერია ისევ მალე დაირღვევა. იმპერიაში რუსები უნდა ჭარბობდნენ. ამიტომ ჩვენ ისეთი იმპერია გვჭირდება რომელიც:*

*1. თანაბარ შემადგენელ ნაწილებად გააერთიანებს რუსეთს – მის ახლანდელ საზღვრებში, უკრაინას, ბელორუსიას, მოლდოვას (თუნდაც დნესტრისპირეთ), ყაზახეთს – რუსი მოსახლეობის სიმრავლის გამო, სომხეთს და საქართველოს (თუნდაც აფხაზეთს);*

*2. შუაზიის რესპუბლიკებმა და აზერბაიჯანმა ფორმალური დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნონ, მათთან ურთიერთდახმა-რების ხელშეკრულების დადება იქნება საკმარისი. დე, მართონ ისინი იქაურმა ხანებმა და ბეგებმა, ოღონდ ჩვენდამი ლოია-ლურები უნდა იყვნენ, და იქ მცხოვრები რუსების უსაფრთხოება უზრუნველჰყონ.*[16]

---

[16] Степанов А., Какой быть будущей Российской Империй?, Русская линия, Политинформация 29 мая 2000 года,

ა.ი. ბიკოვი:

*ნაციონალური საზოგადოების აშენება სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს. დიახ, დიახ, დიახ! საჭიროა მოსახლეობის რუსიფიკაცია. საყოველთაო კეთილდრეობის მიზნით, არ უნდა გვეშინოდეს ამ სიტყვის ხმარება, რადგან სტაბილური საზოგადოება ყველას ჭირდება.*

*კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ჩვენი ისტორიული ამოცანაა – რუსებად დავრჩეთ. სტაბილური ცხოვრებისუნარიანი საზოგადოების ასაშენებლად ნებაყოფლობითი, ან თუ გნებავთ, ძალადობრივი რუსიფიკაციაა აუცილებელი.*[17]

ვ.ი. ბოლშაკოვი:

*რუსეთი აღდგება, როგორც დიდი სლავური სახელმწიფო – ადრიატიკიდან წყნარ ოკეანემდე.*[18]

არავის გაუკვირდება თუ ვიტყვით, რომ რუსეთის ეკლესიასა და საზოგადოებაში მოქმედი მართლმადიდებელი ნაციონალისტების აბსოლუტური უმრავლესობა პროპუტინისტური განწყობისაა. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება არსებითად პუტინის პოზიციითა და გეგმებითაა განპირობებული:

ალექსანდრე სოლუიანოვი:

*ყველასთვის ცხადია: ქვეყანას სათავეში ჩაუდგა პატრიოტი, პატიოსანი, ენერგიული, მიზანდასახული პოლიტიკოსი.*[19]

---

<http: //www.rusk.ru/Patriot/Polinf/pi29_05.htm>

[17] Быков А.И., Наша историческая задача – остаться русскими!, Русский дом, 2000, №10.

[18] IV Всемирный Русский Народный Собор, Из выступления вице-президента Международного фондамславянской писменности и культуры В. И. Большакова, Русский вестник, 1997, №15-17.

კონსტანტინ დუშენოვი:

*დღესდღეობით შეუძლებელია, ადეკვატურად შეაფასო ახალი პოლიტიკური ხელისუფლების მოქმედება და ვლადიმერ პუტინის ადგილი ჩვენს ისტორიაში. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ და გავაცნობიეროთ მოძრაობის მიმართულება, პრეზიდენტის პოლიტიკური ხაზის ვექტორი. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ის პოზიტიურია.*[20]

მიტროპოლიტი ტიხონი (შევკუნოვი):

*პუტინმა პაპის კეთილგანწყობა უგულებელყო, რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩება. დასავლეთისთვის ეს ნიშნავს – „ყოველმხრივ სასიამოვნო“ მიხაილ სერგის ძის და ყველას „მეგობარ ბორისის“ დრო წავიდა. რუსეთის ახალ ხელმძღვანელს არა მარტო ღრმად ესმის თავისი ქვეყნის ისტორიული ინტერესები, არამედ, მათ პირად წუთიერ სარგებელზე მაღლა აყენებს. პრეზიდენტმა არაერთხელ აჩვენა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას იგი წარმატებით უმკლავდება „ყოვლისშემძლე მეოთხე ძალაუფლების“ ზეწოლას და საკუთარი გარემოცვის ინტრიგებს.*[21]

---

[19] Солуянов А., Наше поле духа даст добрые всходы, Руский вестник, 2001, №5-6.

[20] Душенов К., Россия на рубеже веков: Круглый стол на Истфаке, 27 апреля 2001 г., Русское обозрение, <http://www.rusk.ru/Patriot/Polinf/po3.htm>

[21] Тихон (Шевкунов), архимандрит, Приглашение, о котором так долго и упорно твердили все средства массовой информации, не состоялось, <http:/ /www. pravoslavie.ru /news/ 06_05/glav.htm>